ხელშეკრულება
(სტამბის მომსახურების შესახებ)

ქ. თბილისი

1 იანვარი 2015წ.

ერთის მხრივ შპს"[illegible]" (ს/კ [illegible]) (შემდგომში „დამკვეთი"), წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის [illegible] სახით და მეორეს მხრივ შპს ,,S GROUP", (შემდგომში შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე გოგოიტიძის სახით მხარეთა ორმხრივი და თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სამედიცინო ცენტრისათვის საჭირო ყველა სახის დოკუმენტაციის სტამბური წესით დაბეჭდვის მომსახურების შესახებ.

1. პრეამბულა

მხარეები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, მხარეები ერთმანეთის უფლებებს პატივისცემით ეპყრობიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

2. ხელშეკრულების საგანი

CPV-22300000

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელს პერიოდზე, დამკვეთის შეკვეთის საფუძველზე, რომელიც აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით, შეასრულოს სამედიცინო ცენტრისათვის საჭირო ყველა სახის დოკუმენტაციის სტამბური წესით ბეჭდვის მომსახურეობა.

2.2 სამუშაო სრულდება შეკვეთიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას სრულად, დროულად და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

3. ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თითოეული თვის მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება შემდეგი წესის შესაბამისად:

შემსრულებელი ყოველი თვის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ამსახველ ფინანსურ დოკუმენტაციას (მათ შორის ინვოისს), ხოლო დამკვეთი შემსრულებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი ფინანსური დოკუმენტაციის (მათ შორის ინვოისის) მიღებიდან 2 კვირის ვადაში გადარიცხავს შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული შესაბამისი თვის მომსახურების სრულ ღირებულებას.

3.2. მომსახურების საფასურის გადახდა იწარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:

4.1.1. შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად უფლება აქვს მოთხოვოს და მიიღოს დამკვეთისგან შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ოდენობითა და დადგენილ ვადებში.

4.1.2. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების განუხრელი დაცვა.

4.1.3. შემსრულებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

4.2. დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

4.2.1. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.2.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას დროულად გადაუხადოს შემსრულებელს მის მიერ გაწეული მომსახურების სრული ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

4.2.3 დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას ,,შემსრულებლის" მიერ არასწორად დაბეჭდილი დოკუმენტაციის ბეჭდვის ღირებულების ანაზღაურებაზე, თუ შეცდომა გამოწვეულია ,,შემსრულებლის" ბრალეულობით.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მისი შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ტიპის ცვლილების, დამატების და რომელიმე პირობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით, რომელიც ამოქმედდება მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და იქნება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია ინიციატორი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

დააგვიანებს და დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდის ვადებს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშ შედის მისი გაფორმების დღეს და მოქმედებს 1 წლის ვადით.

7.2 თუ რომელიმე მხარე წერილობით უარს არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე ვადით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების გამო, როგორიც არის - მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურებანი, ომი და საომარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8.2. მხარე, რომელიც 8.1. მუხლში აღნიშნული მდგომარეობის გამო ვერ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია ასეთი მდგომარეობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

8.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მომენტამდე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების შედეგად მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი.

9.2. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დავის განხილვის წესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილ ნებისმიერ დავას გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ სადაო საკითხის წამოჭრიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში მხარეები ვერ მოახერხებენ სადაო საკითხის ურთიერთმოლაპარაკების გზით გადაჭრას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა არ გამოიწვევს დარაჩენი მუხლებისა და მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი შეთანხმებები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და იმოქმედებენ მასთან ერთად.

11.3. რომელიმე მხარის მიერ მისი რეკვიზიტების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ცვლილების განმხორციელებელი მხარე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლებიც მხარეთა მიერ მათზე ხელმოწერების შემდგომ გადაეცემათ თითოეულ მხარეს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი:
შპს "[illegible]" მის.: [illegible] ქ. 16 ტელ.: 2-73-00-34; 2-73-82-29 ს/კ 206269045	შპს. "S GROUP" მის.: ხევსმარის №1 სს „საქართველოს ბანკი" ც/ფ ბ/კ BAGAGE 22 ა/ა GE 61BG0000000883020200 ს/კ 400012794
დირექტორი: _____ / [illegible] /	დირექტორი: _____ /ა. გოგიტიძე/